№ 244 ნოემბერი 12, ხუთშაბათი 1893 ნოემბერი 12 ხუთშაბათი № 244


გაზეთის ფასი

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

დაიბეჭდა ხელმეორედ და იყიდება წერა კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

კრილოვის არაკები

თარგმანი აკაკისა

ეს წიგნი მოწონებულია სამოსწავლო მთავრობისაგან სკოლების ბიბლიოთეკებისათვის და მიღებულია ხელსაწყობად ქართულის ენის შესასწავლად.

იმავე წიგნის მაღაზიაში იყიდება რუსულ-ქართული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა ფ. 3 მ. 60 კ. და სურათი დ. ჩუბინაშვილისა ფასი 20 კაპ. (6—3)

## ტფილისი, 12 ნოემბერს

—

კლასსიკურ ენების სწავლება, არ იქნა და არა, ვერ მოეწყო გიმნაზიაში იმ გვარად, რომ უმაღლესი სამოსწავლებო უწყება დაკმაყოფილებულიყო.

ამას წინად პეტერბურგის გიმნაზიებში მოუხდენიათ რევიზია შესახებ ძველ ენების სწავლებისა და საოცარი ამბავი შეუნიშნავთ. ხსენებულს სკოლებში არა თუ მოწაფენი აღმოჩენილან სუსტნი ამ ენების ცოდნაში, არამედ თვით მასწავლებელნიც კლასიკურის ენებისა ვერ ყოფილან შესაფერად მომზადებულნი და დახელოვნებულნი ყრმათა სწავლებისთვის.

ამ უკანასკნელ დროს რუსეთის განათლების სამინისტრომ საჭიროდ დაინახა, რომ უმთავრესი ყურადღება ძველ ენების სწავლის დროს მიქცეული იყოს გრამატიკაზე კი არა, არამედ იმაზედ, რომ მოწაფეთ კარგად და ლამაზად გადმოთარგმნონ ლათინურიდამ და ბერძნულიდამ რუსულ ენაზედ. ამ მხრით მასწავლებელნი, როგორც ზევით ვსთქვით, ამბობს რევიზორი პეტერბურგის გიმნაზიებისა, ვერ უჩვენებენ მოსწავლეთა საჭირო მაგალითს თარგმნისას, რადგანაც თითონაც არ იციან კარგად რუსული ენა,—იმის გამო, რომ ნამდვილი რუსნი არ არიანო.

„თუ-კი თითონ პეტერბურგს ამისთანა სამწუხარო ამბავია, რომ გიმნაზიას კარგი მასწავლებლები ვერ უშოვია, პეტერბურგს, სადაც უმაღლესი მოსამზადებელი სასწავლებლები არის, სადაც სათავეა რუსეთის განათლებისა და მეცნიერებისა, რაღა უნდა იყოს შორს, მივარდნილს ადგილებში“, —ამბობს მოსკოვის გაზეთი „რუსის უწყება“.

შემდეგ, იმავე ორგანოს აზრით საჭიროა, რომ რუსეთის გიმნაზიებში ძირითადი ცვლილება მოხდეს შესახებ სწავლებისა. ასეთი ცვლილება რომ საჭირო არის და აუცილებელიც, ამას კარგათა გრძნობენ ყველანი. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ რჩება, და არავინ იცის, როდის დადგება ფრიად საყურადღებო საქმე სწავლებისა იმ გზაზე, რომ არც ყმაწვილები იტანჯებოდნენ და ნაყოფიც სასურველი მოჰქონდეს.

W.

## ახალი ამბავი

—

*** ხუთშაბათს, 12 ნოემბერს სამეურნო საზოგადოების დარბაზში მუსაიფი ექნებათ იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ და რა პროგრამით გაჰმართონ კავკასიის მეურნეთა პირველი კრება.

*** მთავარ ანგელოზობას, 8 ნოემბერს, მის უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს დეპეშებით მიულოცეს სახელწოდების დღესასწაული კავკასიის მთავარმართებელმა ს. ა. შერემეტევმა, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა ლ. ა. მაღალაშვილმა, კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველმა კ. პ. იანოვსკიმ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ფრიდემ, ტფილისის მოურავის მოადგილემ იზმაილოვმა დ „ინგლისის კლუბმა“. ყველა ამათ მის უმაღლესობისაგან მადლობის დეპეშები მოუვიდათ.

*** პროექტი შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირების დასახლებისა, შევსებული და შესწორებული ხელახლად, წარედგინა სახელმწიფო საბჭოს განსახილველად.

*** ამიერ-კავკასიაში წელს 15,698 თამბაქოს პლანტაცია ყოფილა, რომელთაც 4,800 დღიური მიწა ეჭირა. მოსულა თამბაქო 147425 ფუთი. ჩრდილო კავკასიაში წელს დაუთესიათ 21,774 დღიური და მოსულა 747,794 ფუთი.

*** გუშინდელ ნომერში გვქონდა მოყვანილი ამბავი ვითომც ქუთაისის პოლიცმეისტერს თ. ს. ნ. ჭავჭავაძეს თავი დაენებებინოს სამსახურისათვის ავადმყოფობის გამო და მის ალაგს გაემწესებინოთ ბოქაული ქ. ტფილისისა სვიმონოვი. ეს ამბავი შეცდომა გამოვიდა.

ჩვენ სარწმუნო წყაროდან შევიტყეთ, რომ თ. ზ. ჭავჭავაძეს არც თავი დაუნებებია სამსახურისათვის და არც აპირობს. მხოლოდ ქუთაისის გუბერნატორს მოუწერია ტფილისის გუბერნატორისათვის, ბოქაული სვიმონოვი მსურს გადმოვიყვანო ქუთაისის გუბერნიაში ერთ საპოლიციო ადგილზე დ გთხოვთ შემატყობინოთ, დაბრკოლება ხომ არა არის-რაო. ტფილისის გუბერნატორის მიერ დაბრკოლება არავითარი აღმოჩენილა, რომ სვიმონოვი ქუთაისის გუბერნიაში იქმნას გადაყვანილი სამსახურში, თუ რაიმე მიზეზი არ აღმოჩნდება ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერის მიერ, რომელსაც უკვე შეეკითხა საგუბერნიო სამმართველო. აი ეს არის ნამდვილი გარემოება საქმისა.

*** ხაშურიდგან ბორჯომამდე რკინის გზის შტოს გასაყვანად, რაც-კი მიწის სამუშაო იყო ხაშურიდგან იმ ადგილამდე, სადაც ხიდი კეთდება მტკვარზედ, გაუთავებიათ და ეხლა რელსების დაწყობას შეუდგებიან. ხიდის ერთი ბურჯი უკვე გაუკეთებიათ და მეორეც მალე იქმნება მზად.

*** ორი ინგლისელი მოგზაური-ქალი ოდესიდგან ბათუმს წამოსულან და სპარსეთს მიემგზავრებიან. იქიდგან ცხენებით ინდოეთს აპირობენ გადასვლას. ეს ახალ გაზდა გასათხოვარი ქალები ჩრდილო ექსპედიციაში ყოფილან და იქიდგან პირდა-პირ აქედ წამოსულან.

*** კავთისხევი (ქართლი): ჩვენი ახალი მამასახლისი ივ. ჯაჯანაშვილი 5 ნოემბერს რამდენიმე კაცით დაესხა თავს ტყეში ყაჩაღად გავარდნილს, კაცის მკვლელს დ ავაზაკს გ. გელოიძეს, რომელსაც აგერ ორი წელიწადია დაეძებს მთავრობა შესაპყრობად. თუმცა ავაზაკმა ხანჯალიც იხმარა და რევოლვერიც, მაგრამ ახალი მამასახლისი მიცვარდა დ ხელ-და-ხელ იქვე გაჰკოჭა. ავაზაკი უკვე წარუდგინეს გორის მაზრის უფროსს.

*** ქუთაისი: ამ დღეებში აკურთხეს აქ ამაღლების ეკკლესია, რომელიც აგებულ იქმნა ხელმწიფის იმპერატორის გადარჩენის სახსოვრად. კურთხევას ხალხი ბლომად დაესწრო. ფულად შესწირეს ეკკლესიის მლოცავებმა 100 მანათზედ მეტი. შესწირეს აგრეთვე ზოგმა ხატი, ზოგმა ზარები, და სხვა სამკაული.

*** გორი: წარსული კვირის შაფათ საღამოს აქ სცენის მოყვარეთ ქართული წარმოდგენა გამართეს. ითამაშეს გ. ერისთავის „ძუნწი“ და ბ-ნ გუნიას ვოდევილი „ხოლერა“. შემოსავალი დანიშნული იყო აქაურ საქალაქო სკოლის სასარგებლოდ, მხოლოდ ოცდა-ხუთი მანათი ამ სკოლის მმართველობას უნდა დაეთმო კიევის უნივერსიტეტის სტუდენტ შ. ჩ—ძისათვის. ხალხი კარგა ბლომად დაესწრო. თუმცა «ძუნწის» წარმოდგენამ, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ვერ ჩაიარა სანაქებოდ, მაგრამ „ხოლერა“-კი სწორედ ჩინებულად ითამაშეს და საზოგადოებაც დიდათ ნასიამოვნები დარჩა. საჭიროა შევნიშნოთ, რომ ძველი პიესების წარმოდგენა აღარ მოსწონს საზოგადოებას და კარგს იზამენ პატივცემული სცენის მოყვარენი, რომ შემდეგისათვის სხვა უფრო ახალი პიესები აირჩიონ. ამ ჟამად თაოსნობაც და მომეტებული შრომაც ეკუთვნოდათ საქალაქო სკოლის პატივცემულ ახალგაზდა ქართველ მასწავლებელთ. იმედია, რომ შემდეგშიაც არ დაზოგვენ ეს განათლებული პირნი თავიანთ შრომას და გარჯილობას კეთილი საქმისთვის.

შემოსავალი იყო სულ 121 მ. 90 კ., დაიხარჯა 35 მ. 50 კ., სტუდენტ ჩ—ძეს გაეგზავნა 25 მ. საქალაქო სასწავლებელს დარჩა 61 მან. და 40 კ.

*** ლეხაური (ოზურგეთის მაზრა): გურიაში დიდი ხანია, რაც აქაური ვენახები ამოვარდა. იმათ

## ფელეტონი

—

### რუსეთის ზღვაოსნები საფრანგეთში

(წერილი პარიჟიდამ)

(შემდეგი *)

7 ოქტომბერს ცუდი დარი დადგა. მთელი დღე შეუწყვეტლივ სწვიმს. ხალხიც გუშინდელივით აღარ ირევა ქუჩებში. ეტლები თავისუფლად დასრიალებენ. მხოლოდ სამხედრო სადგომის წინ შეგროვილა ხალხი და ელოდება ზღვაოსანთა გამოსვლას. დილის 9 საათზედ აველანი აფიცრებითურთ ჩასხდნენ ეტლებში და გაემგზავრნენ სხვა-და სხვა საპატიო კაცებთან სადარბაზოდ: ზღვათა მინისტრთან, ადმირალ ჟერვესთან და სხ. ხალხმა „ურას“ ძახილით გააცილა. ხშირად რუსულადაც ისმოდა: „Zdravstvouité drouzia“ (გამარჯვება, მეგობრებო). ფრანგებს ბევრი რუსული სიტყვები დაესწავლათ და უმეტეს შემთხვევაში რუსულად ამბობდნენ მოკლე ფრაზებს. როდესაც აველანი და ჟერვე ერთად ხელიხელ გაყრილნი გამოვიდნენ, ხალხი ნამეტანს აღტაცებაში მოვიდა და დიდხანს არ შეწყვეტილა გრიალი: გაუმარჯოს ჟერვეს! გაუმარჯოს აველანს!

ხალხის რიცხვი თანდათან მატულობს, ყველანი ეშურებიან ზღვათა მინისტრის სადგურისაკენ. იქ არიან სტუმრებიც. მოედანზედ ხმა ისმის: აველან-ჟერვე! ისინიც გამოვიდნენ აივანზედ და ქუდის მოხდით მადლობა გადაუხადეს. ამ დროს მოისმა: ძირს რუსეთიო! (A bas la Russie). პოლიციამ ამას ყურადღება მიაქცია და რამდენიმე კაცი შეიპყრა.

რად იძახდით „ძირს რუსეთიო?“— ჰკითხეს იმათ.

— რათა და მათა, რომ მოგვწყინდა სულ ერთი და იგივე, მიუგეს დაჭერილებმა. მართლაც, ფრანგებს მალე მოსწყინდებათ ხოლმე ერთ-ფეროვნება.

საღამოზე წვიმამ იკლო, ხალხმა იმატა. ყველგან სიმღერაა, ცეკვა-თამაში, მუსიკა გაცხარებული უკრავს. ისეთი ჟრიამული და არეულ-დარეულობაა, რომ ვერაფერს ვერ გაიგონებს კაცი. ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. ერთი შემდგარა სკამზედ და რაღასაც მჭევრმეტყველობს. რას ლაპარაკობს, ძნელი გასაგებია საყოველთაო ხმაურობის გამო. აუარებელი ხალხი შემოჰხვევია და უსმენს. უცებ ტაშის ცემა და „bravos“ მოისმა.

— რა ამბავია? ვკითხე ერთს.

— დიუპუი (შინაგან საქმეთა მინისტრი) გაკიცხა ორატორმა და მოეწონა ხალხსო, ამიხსნა მესაუბრემ.

მეორე გვერდზედ, იქავე, წრე გაუკეთებიათ და ქალი და კაცი ვალსს უვლიან. ცოტა იქით ერთი ქალი მაღლიდან (დუქნის აივნიდან) გადმომდგარა და ნაირ-ნაირის ხმით მღერის. ერთის სიტყვით, სიცოცხლეს სდუღს და გადმოდის, დიდი მხიარულება და ქეიფია. მოედანზედ რამდენიმე აფიცერი სამოქალაქო ტანისამოსით გამოსულიყვნენ სასეირნოდ. ვიღაცამ იცნა და დაიძახა: აგერ რუსებიო! და ხალხიც გარს შემოერტყა აფიცრებს. მოჰკიდეს ხელი და რამდენჯერმე მაღლა აისროლეს. „მარსელიეზის“ სიმღერით მიაცილეს ის აფიცრები სადგომამდე.

8 ოქტომბერს უფრო გაძლიერდა აღტაცება ხალხისა. ქუჩები სავსეა. ენტუზიაზმი უფრო დიდია, ხალხი ზღვასავით დანდგარებს. ეტლთა მიმოსვლა გასაჭირია. დარს არა უშავსრა.

დილით ადმირალ აველანმა მიიღო დელეგაცია პარიჟის ჟურნალ-გაზეთობის კომიტეტისა. აველანმა მადლობა გადაუხადა და მოახსენა:

„...ვიცოდი, რომ პარიჟში კარგად მიგვიღებდით, მაგრამ ასეთ აღტაცებას და სიხარულს, ასეთს დიდებულს დახვედრას სრულებით არ მოველოდით. სიკვდილამდე არ დაგვავიწყდება ეს ამბები“. ერთ-ერთმა დელეგატმა უპასუხა: „თქვენ გაქვთ მიზეზი ასეთის ლაპარაკისა. თქვენმა სტუმრობამ სასწაულივით იმოქმედა ჩვენზედ. რამოდენისამე დღით მაინც შესწყვიტა ბრძოლა დასთა შორის და ყველა ერთის სურვილით გამსჭვალა. აგერ აქ სულ სხვა-და-სხვა აზრების წარმომადგენელნი ვართ, სულ სხვა-და-სხვა მოძღვრებას ღვიარებთ, მაგრამ თქვენმა დანახვამ ყველანი შეგვაერთა. წინად ფრანგნი ღმერთსა სთხოვდნენ კაცთა შორის მშვიდობიანობის ჩამოგდებას, დღეს ჩვენ რუსეთს ვუწვდით ხელს მშვიდობიანობის დასამყარებლად“ *).

10 ს. აველანი და აფიცრები გაემგზავრნენ სადარბაზოდ პარიჟის მთავარ-ეპისკოპოზთან. ხალხი დაედევნა უკან ქუდების მაღლა სროლით და კიჟინით: გაუმარჯოს რუსეთს! გაუმარჯოს აველანს! ფანჯრებიდგან ქა-

*) იხ. „ივერია“, № 243.

*) ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები გაზეთებიდან არის ამოწერილი. ყოველივე სხვა ცნობა და ამბავი-კი ნახული და გაგონილია.

ავტ.

მაგიერ, ახლა იზაბელას ვენახების გაშენებას მიჰყვეს ხელი და მრავალი დაც გააშენეს. ამ ვენახების ღვინოს ადესის ღვინოს ეძახიან, მაგრამ ღირსებით ბევრი არაფერი ღვინოა. ინვრამდე კიდევ ვარგობს და მერე ფუჭდება, ისე რომ ხშირად გადაჰღვრიან ხოლმე. ფუთი ოზურგეთში ათ შაურათ ისყიდება. სოფელში ხომ ათ შაურათ ორ ფუთსაც იყიდით.

ამ გარემოებაში სწორედ ღვთისწყალობაა დაარსება არაყის ქარხანისა სოფელ ლეხაურში ბ-ნ ედიშერ სალუქვაძის მიერ, რომელიც კარგ ფასად ჰყიდულობს ჭაჭა-თხლეს ღვინოს და ყურძენს და ჰხდის არაყს. ოქტომბრიდამ დაიწყო ხდა და ურიგო ჭაჭას არაყს არა ჰხდის. ამ ჟამად სალუქვიძეს ბლომად აქვს არაყი გამოხდილი და კიდევ ბლომად ამზადებს მასალას არაყის სახდელად. ყოველ-დღე მიდიან მასთან ახლო-მახლო სოფლელები და მიაქვთ ურმებით ჭაჭა-თხლე და ღვინო, რომელსაც ხსენებული მექარხნე კარგ ფასად ჰყიდულობს.

## კორესპონდენცია

ცხინვალი, 8 ნოემბერს. ამ ზაფხულს აქ ლატარეია-ალეგრი გაჰმართეს, როგორც ამბობდნენ სახელოსნო სასწავლებლის დასაარსებლად. ლატარეია-ალეგრის დიდძალი ხალხი დაესწრო და დიდძალი ბილეთებიც გაიყიდა. ბევრნი იყვნენ ბილეთების მყიდველნი, როგორც აქაურ სომეხთა, ისე ქართველთა შორის. უფრო ქართველებმა მიიღეს მხურვალე მონაწილეობა. ლატარეა-ალეგრის გამგენი ვერც-კი ასდიოდნენ ნივთების ჩამოღებას ნომრობით და ზოგს სპიჩქას აჩეჩებდნენ ხელში, ზოგს მძივსა და ზოგს ღვრინჭილას. ამბობენ, ბლომად შეგროვდა ფულიო. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მეთაურნი ისეთნი იყვნენ, რომ იმათ ბილეთის ყიდვაზედ უარს ვერავინ ეტყოდა, რაც უნდა ღარიბი ყოფილიყო. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ ახლა ისმის ჭორად, ვითომ ალეგრის შემოსავალი მოხმარდება ისეთს სახელოსნო სკოლას, რომელშიაც ქართველ ყმაწვილებს სულაც არ მიიღებენო. თუ ეს მართალია, ძალიან საწყენი იქმნება აქაურ ქართველთათვის, რადგან წინადვე გამოცხადებული იყო, რომ სკოლაში ყველას მიიღებენ განურჩევლად ჩამომავლობისა და სარწმუნოებისაო.

ჩვენი სამკითხველო როგორღაც განსვენებას არის მიცემული. ძალიან სამწუხაროა, რომ ამოდენა დაბას ერთის სამკითხველოს შენახვა და მომართვა უჭირს. დრო კია ერთმანეთს ზურგი მივყუდოთ და ჭირსა და ლხინში თანაზიარნი ვიყვნეთ, თუ არ გვინდა ავად მოსახსენებელნი შევიქმნათ ჩვენთა შვილთა და შვილიშვილთაგან.

ცხინვალსა და მის გარშემო სოფლებისა სალაპარაკო დღეს ის არის, რომ ადგილობრივ მემამულეთ თავიანთი ტყე შეჰკრეს და მანათიანი შეშა 3—4 მანათად გაგვიხადეს. კვირაში 3—4 მანათის გადახდა, ცოტა არ იყოს, ძნელია ეხლანდელ დროში ხელ-მოკლე კაცისათვის. მემამულეთა კაცები გლეხ-კაცებს შიგ ცხინვალში უხვდებიან და იქ ართმევენ შალბაშს ერთის ძალადობითა და ვაი-ვაგლახით; იმის გამკითხველი არავინ აღარ არის, საიდამ მოაქვს გლეხ-კაცს შეშა, მემამულეთა ტყიდამ, თუ თავის საკუთრიდამ, ან სხვა მემამულის ტყიდამ. ამის გამო შეშა აღარ შემოდის ცხინვალში, ვსხედვართ უშეშოდ და ვიფიჩხებით ამ სუსხიან შემოდგომაზე. რაკი აგრეაო, აქაურმა ვაჭრებმაც მოუმატეს ფასი სავაჭროს. ხორცს აქამდე 6 კაპ. ჰყიდდნენ გირვანქას, რაიცა კარგი ფასი იყო ამ საქონლის ოხრობაში და უბზეობაში და ახლა, როგორც უნდათ, ისე ჰყიდიან.

ამ ორის კვირის წინად ერთმა კაცმა ნალბანდი მოჰკლა რაღაც 4 მანათის ანგარიშისათვის. მკვლელი 8 ნოემბრამდე გაქცეული იყო. 9 ნოემბერს-კი დაიჭირეს და პოლიციას წარუდგინეს.

გ-

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

არა ერთხელ გაგვიგონია გოდება რუსეთის მწერლობისა იმის გამო, რომ საუკეთესო ადგილებზედ, სადაც-კი საქმის ცოდნაა საჭირო, სულ უცხოელნი არიან გამწესებულნი. ამის მიზეზი ის არის, მწერლობის აზრით, რომ რუსეთი ძალიან ჩამორჩომია ევროპას განათლებაში და სიბნელითაა მოცული.

საყურადღებოა, რომ ამ გარემოებას თვით Гражданинъ-იც დიდს საგონებელში ჩაუგდია:

თავი და თავი მეხანიკოსები—ან ინგლისელია, ან გერმანელი; დირექტორი—ინგლისელი ან გერმანელი. და რომ ჰკითხო დიდ-წვერა და გრძელ „სერთუკიან“ ვაჭარს, ან ევროპიულად გამოწყობილ კოხტა მექარხნეს: რა არის ამის მიზეზიო,—გიპასუხებთ: რა ვქნათ, რომ რუსი არ არის, ან თუ არის ერთი-ორი, ისინიც სანდონი არ არიანო...

ბანკებშიაც, Гражданинъ-ის სიტყვით, უმთავრესი ადგილები ან გერმანელებს უჭირავთ, ან ებრაელთ. რომ იკითხო: რადა? გიპასუხებენო:

რუსებმა საკმარისად არ იციან ანგარიში, ან უცხო ენები არა აქვთ შესწავლილი, ან არა და მტკიცე სინიდისის პატრონები არ არიან.

Гражданинъ-ის რედაქტორს არა ერთხელ გაუგონია ცნობილ რუსთაგან:

ჩვენ არა გვყავს ნიჭიერი კაცები, რომლებსაც საფუძვლიანად ჰქონდეთ რომელიმე სატეხნიკო საგანი შესწავლილი; ძალიან იშვიათად მოიპოვება ჩვენში ესეთი კაცი და, ვაი ჩვენს უფოვას, ძალიან ცოტაა ჩვენში პატიოსანი კაციო!

Гражданинъ-ის რედაქტორი არ შესდგომია იმის მიზეზების გამოკვლევას, თუ რატომ არ დაწინაურდა რუსეთი სწავლა-მეცნიერებაში, ხოლო, როგორც ყოველთვის, ყოველსავე ამას უკანასკნელ 30 წელს აბრალებს, თითქო დამტკიცებული იყოს, რომ ამ 30 წლის წინად რუსეთში სწავლა-მეცნიერებაც კარგად ყოფილიყოს წარმოებული და სამრეწველო ცოდნაც მომეტებული ჰქონოდეს.

„თუ დაქვეითებულნი ვართ იმის გამო, რომ საჭირო ცოდნა არა გვაქვსო,—ამბობს გაზ. Рус. Жизнь, მაშ უნდა ვეცადნეთ, რომ სწავლა საკმარისად გვქონდეს. მაშინ, იმედია, აღარ დაგვჭირდება გოდება და წუწუნი, ვითომც ლუკმას პირიდგან გვართმევდნენ გერმანელები, ებრაელები, პოლონელები, ფილანდიელები და სხვ. და სხვა, რომელთაც იციან, რასაცა იქმან და ჰქმნიან, რაიცა იციან“.

*

გაზეთ Русс. Вѣд.-ში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ფორტუნატოვისა კავკასიის მცხოვრებთა რიცხვის შესახებ. ამ წერილში სწორედ რომ ახირებული ცნობანია მოყვანილი. აი ამისი ერთი მაგალითი.

კავკასიაში 35 სხვა-და-სხვა ერია: ქართველები, იმერლები, მეგრელები და სხვ.

საკვირველია, ბ-ნ ფორტუნატოვს ქართლელები, კახელები, ქიზიყელები, სიღნაღელები და თელაველები რაღად დაჰვიწყებია. ასე რომ გავსაჯოთ, კავკასიაში 35 ერი-კი არა, რატომ 335 სხვა-და-სხვა ერი არ აღმოჩნდება.

აი კიდევ მეორე ახალი ამბავი ბ-ნ ფორტუნატოვის მიერ აღიარებული.

უველაზედ მომეტებული რიცხვი კეთილშობილთა ითვლება ქუთაისის გუბერნიაში. მარტო ქუთაისის მცხოვრებთა მეოთხედი სულ თავადები არიან.

დიდად ვსწუხვართ, რომ ისეთი დარბაისელი გაზეთი, როგორიც არის Русс. Вѣд.-ი, ისეთს ამბავსა ჰბეჭდავს, როგორიც არის ზემოხსენებული ცნობანი. სჩანს, ძლიერ კარგი წყარო ყოფილა ის წყარო, საიდგანაც ეს ცნობებია ამოკრებილი.

* *

სანტანდერიდგან სწერენ გაზეთ „Figaro“-ს:

ხალხი ძლიერ დაშინებულია და ქალაქიდგან იხიზნება. კიდევ ეშინიათ ახალ აფეთქებისა. ამბობენ, ზღვაში კიდევ ბევრი დინამიტიაო. გემის „Muchicaco“-ს დინამიტით აფეთქების დროს 34 კაცი დაიღუპა. აქამდე სანტანდერში 500 კაცზე მეტია დინამიტით მოკლული.

## რუსეთი

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს სახალხოდ გამოსცადოს ხოლმე სამეურნეო სკოლების შეგირდები, რომლებიც სწავლას ათავებენ, რომ მეურნეებმა შეიტყონ, რა ცოდნას აძლევენ სკოლები. ამნაირი გამოცდა ყოველ წლივ სხვა-და-სხვა ქალაქებში მოხდება, სადაც იმავე დროს სამეურნეო გამოფენებიც გაიმართება.

—

ვარშავის გენერალ-გუბერნატორი გურკო მძიმედ არის ავად, ვერსად გამოდის და ვერც არავის ინახულებს. ამას წინად იოანე კრონშტადტელი გავლით ვარშავში იყო შვიდის საათის განმავლობაში და გენერალ-გუბერნატორთანაც მივიდა სანახავად.

—

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ შეძლებული კაცები იღებენ იჯარით სახელმწიფო მამულს, მერე გლეხებს ურიგებენ თითო-ოროლა დღიურობით და დიდ ღალას ახდევინებენ. ამას გარდა, რომ ეს შუაკაცობა მეტად მავნებელია გლეხისთვის, არც მამულს ეყრება ხეირი. ამ არა სასურველ გარემოების მოსასპობად სამინისტროს განუზრახავს სრულიად აკრძალოს შეძლებულ კაცების შუამავლობა და მამული პირდაპირ სასოფლო საზოგადოებათ ჩააბაროს ხოლმე გადაკვეთილ ფასად.

—

ქ-ნ ადანისა და საფრანგეთის ქალებისთვის საჩუქრების გასაგზავნად შემდგარ კომისიას აქამდე 1,811 მანათისა და 80 კაპეიკის შეწირულობა მისვლია.

—

პეტერბურგის ნაფიც ვექილთა ორმა კომისიამ განიხილა შემდეგი საქმეები: უზრუნველ ყოფილ იქმნან ოჯახობანი ნაფიც-ვექილთა, დააარსონ და ჰბეჭდონ საკუთარი ორგანო, აუწყონ ხოლმე ამხანაგებს ზოგიერთ შესანიშნავ სადავო საქმის ამბავი, ვიდრე ეს საქმე სასამართლოში იქმ-

---

ლები ყვავილებს ესროდნენ ავილანს ამ სიტყვებით: საყვარელო ავილან! (Chér Avelane) ზღვაოსნები შევიდნენ ერთს მაღაზიაში. მაღაზია საუცხოვოდ იყო მორთული. სტუმრები მიიღო მაღაზიის დირექტორმა. ქუჩიდან ხალხი ავილანს უძახდა. ავილანმა უპასუხა: გაუმარჯოს საფრანგეთს! აფიცრები კიბეზედ შეაჩერეს ცნობის მოყვარეებმა. გამბედავი ქალები მივიდნენ, ხელი მოხვიეს ახალგაზდა აფიცრებს და დაუწყეს კოცნა. მაღაზიაში მიართვას ძვირფასი საჩუქრები დირექტორმა უთხრა ავილანს: ჩვენ ვართ ჯარის კაცნი და ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ მშვიდობიანობა. დიდად ბედნიერნი ვართ, რომ გიხილეთ ჩვენ ვაჭართა შორისაც. გვწამს, რომ მშვიდობიანობის დაცვა შეიძლება იმისთანა მეომართა წყალობით, როგორნიც თქვენა ხართ. ადმირალი გამოვიდა მაღაზიიდან. მისი ეტლი სავსე იყო ყვავილებით. აფიცრებმა დაინახეს მრავლად ქალები, რომელნიც ხელსახოცებს იქნევდნენ და ასტეხეს ძახილი: გაუმარჯოს პარიჟის ქალებსაო!

საღამოს 5 საათიდან დაიწყო დღენა მოედანზედ „del' Hôtel de-Uille“. აქ მოელოდნენ ზღვაოსნებს, რომელთა პატივსაცემლად ბანკეტი უნდა გამართულიყო. მოედანი და ახლო მახლო სახლები მშვენიერად გაეჩირაღდნებინათ. ბაირაღები და ყვავილები, ფერად ფერადი სანათურებით ერთმანერთში არეული ფეერიის მზგავსს სანახაობას წარმოადგენდა. ვინც ძირს ველარ დატეულიყო, ხეებზედ ასულიყვნენ. დიდ-ძალი ხალხი იყო ერთად შეკრებილი. პოლიციამ წინა რიგი უკან დასწია: ხალხი ისე შეინძრა, გეგონებოდათ ზღვა აღელდა და აზვირთდაო. ბევრს მანდილოსანს გული წაუვიდა, ყმაწვილები დაშავდნენ, დიდებშიაც ბევრი დასახიჩრდა; საშინელი კვნესა გაისმა ხალხში. ერთს ფეხ მძიმე ქალს იქვე, ყველას თვალწინ, დაებადა შვილი. ხალხმა მაინც გონება არ დაჰკარგა და ყველა თავ-თავის ალაგას გაჩერდა უძრავად. მხოლოდ დაშავებულნი, რომელთა რიცხვი 150 აღმოჩნდა, სამკურნალოებსა და კერძო სახლებში წაიყვანეს. სიკვდილით არავინ მომკვდარა.

ათ საათზედ გაიმართა ეგრედ წოდებული „La retraite aux Flambeaux.“ გურიაში ამისთანა ამბავს „ლამპრობას“ უწოდებენ. თვითეულ კაცს ანთებული მკვარი უკავია ხელში და ისე დგანან ქუჩა ქუჩა. ამ ლამპრობას დიდის ცერემონიით ასრულებდნენ. წინ მიდიოდა რაზმი რესპუბლიკის მცველთა (Gardes Républicains), შემდეგ ვენსენიის და ბულონის ტყის მცველები, ბოლოს ხალხი. ყველას ეჭირა თითო სანათი გრძელ ჯოხზედ აგებული. „მარსელიეზის“ მღერით გაემართნენ ნელ-ნელა ქუჩებში. საუცხოვო სანახავი იყო ეს სურათი. კაცს ეგონებოდა ცის ვარსკვლავნი ძირს ჩამოსულანო. ამ ცერემონიაში ნახევარ მილიონმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. შუაღამისას გათავდა დღესასწაული. მრავალგან ისმოდა ძახილი: გაუმარჯოს ამნისტიას!

9 ოქტომბერს სწორედ ვაჭრობის დღეობა იყო. ამათაც ხვდათ წილად სტუმრების მიღება და პატივისცემა. პირველად აფიცრები წავიდნენ დახურულ ბაზრისკენ, რომელსაც „Halles“ უწოდებენ. წინ მიეგება კომიტეტი მეყსზეთა და მრავალი ხალხი. ამ დროს დაუკრეს რუსეთის საერო საგალობელი. ხალხმა ერთხმად დაიძახა: მოიხადეთ ქუდებიო! ყველამ ქუდ მოხდით მოისმინა ჰიმნი. შიგ ბაზარში შესვლა აფიცრებისა ერთი წარმოუდგენელი და დაუჯერებელი ოვაცია იყო. აფიცრები თითქმის ხელში აიყვანეს და ისე მიჰყავდათ; ყვავილებით მოიფინა ის გზა, საითკენაც მეზღვაურთ უნდა გაევლოთ. გაუმარჯოს რუსეთს, გაუმარჯოს ავილანს! გაისმოდა გრიალით ჰაერში. მაღაზია ღია იყო, ჩვეულებრივის სახით, მოსამსახურეები და ნოქრები სამუშაო ტანისამოსით იყვნენ. აფიცრებს მოეგება მოსამსახურე ქალთა დელეგაცია. ერთი ქალიშვილი, 12—13 წლისა, მივიდა ავილანთან მიართვა ჭურჭელი მიხაკისაგან გაკეთებული და უთხრა: ბატონო ადმირალო, დიდად სასიხარულოა ჩემთვის, რომ მე ვიქმენ ამორჩეული ჩემს ტოლ-ამხანაგებში თქვენდა წინაშე წარსადგენელად. სულითა და გულით გვიხარიან თქვენი სტუმრობა და მოგიძღვნით გულ-წრფელ მადლობას. ჩემის გრძნობის გამოსახატავად სხვა სიტყვა ვერ მიპოვია გარდა ამისა „გაუმარჯოს რუსეთს“. ადმირალმა მადლობა გადაუხადა და შუბლზედ აკოცა. აფიცრებმა დაათვალიერეს ბაზარი, რომელშიაც საქონელი ჩვეულებრივის სახით იყო გამოფენილი. ვაჭრებმა ავილანს სახსოვრად ოქროს მედალი მიართვეს. ხალხში განუწყვეტლივ ისმოდა: ავილანს გაუმარჯოს! ბაზრის ბოლოში მოეგებნენ რკინის გზის მდაბიო მოხელენი და ავილანს ყვავილებით მოქსოვილი თასი მიუძღვნეს. შემდეგ გასწიეს სხვა სავაჭრო ადგილების დასათვალიერებლად. საცა-კი გაიარეს, ყველგან ქუჩები სავსეა ხალხით, ყველგან სიხარული და ენტუზიაზმია. მოსამსახურენი სტოვებენ დუქნებს, კანტორებს, აფთიაქებს, მუშები-ქარხნებს და გამორბიან ავილანის დასანახავად. რამდენსამე ალაგას მანდილოსნები და ბავშვები მივიდნენ აფიცრებთან და ტანისამოსზედ კოცნა დაუწყეს; ჰკოცნიდნენ აგრედვე პირზედაც. ავილანმა აიყვანა ერთი ბავში (7-წლისა) და ვერცხლის ფული ჩაუჩხრიალა ხელში. ბავშვმა ფული გადაფანტა

ნება განხილული. დაარსდეს დამხმარებელი კასსა ნაფიც-ვექილთა ქვრივებისა და ობლებისთვის ნ. ვ. გერარდის სახელობაზედ დაარსებულ ფონდს გარდა, კიდევ ნაფიც-ვექილთა ფონდები პ. ა. პოტეხინისა, დ. ვ. სტასოვისა, ა. ნ. ტარანოვისა და ა. მ. უნკოვსკის სახელობაზედ.

## მკვლელობა.

ამას წინად რუსეთის ერთ სოფელში, სახელდობრ კოსტკოვიცში, გლეხებმა იპოვნეს ქალის გვამი, რომელიც მიწიდგან ძაღლებს ამოეთხარათ. აღმოჩნდა, რომ ეს გვამი იმავე სოფლის მცხოვრების 18 წლის ქალის რივკაზიგელმაუმისა ყოფილა. ამ რამდენისამე თთვის წინად ეს ქალი შინიდგან სადღაც წასულა და აღარ დაბრუნებულა. ჯერ იფიქრეს, რომ ქალი ერთმა ყმაწვილმა კაცმა მოიტაცა, გვარად იუზეფოვიჩმა, რომელსაც ძლიერ უყვარდაო. ნამდვილად-კი საქმე ასე არ ყოფილა. სამის წლის წინად რივკა ზიგელმაუმი ამერიკაში წაიყვანა ცნობილმა ავაზაკმა მალიარსკიმ, რომელ ც წელს უკვე შეიპყრეს რუსეთში. ახალგაზდა ქალი ძლიერ მალე მობეზრდა თურმე მალიარსკის და სცემდა კიდეც. ამერიკის სასამართლომ მალიარსკის ამის გამო სამის წლით დაპატიმრება მიუსაჯა. ამით ისარგებლა ქალმა და როცა მალიარსკი ციხეში იჯდა, ამერიკიდგან გამოიქცა და რუსეთში მოვიდა თავის მშობლებთან. მალიარსკი ციხიდგან გამოიპარა, შეიტყო ეს ამბავი, წამოვიდა რუსეთს და დაიფიცა, ამ ღალატისთვის რივკა უნდა დავსაჯოვო. რუსეთში მალიარსკი შეხვდა თავის მეგობარს, ერთს ავაზაკს, კაზიმირ სუროვეცს და დაავალა რივკას მოკვლა. ახალგაზდა ავაზაკმა სუროვეცმა ქალს არშიყობა დაუწყო და სთხოვა, ტყეში წამოდი სასეირნოდაო. ქალი დასთანხმდა. კაზიმირ სუროვეცმა ტყეში წაიყვანა, მოჰკლა, გვამი მიწაში ჩაჰფლა და ზედ ფიჩხი მიაყარა. დამნაშავე ჯერ ვერ შეუპყრიათ.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ამას წინად გაზეთ Times-ში დაბეჭდილი იყო წერილი ტულონის დღესასწაულების შესახებ. ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ საფრანგეთის ფლოტი გაცილებით ძლიერია, ვიდრე ინგლისისაო. მას შემდეგ უფრო გაცხარდა აგიტაცია ინგლისის ფლოტის გასაძლიერებლად. ლორდმა მორლეიმა სთქვა ამას წინად მანჩესტერში: მართალია, ამ ბოლოს დროს ინგლისმა თავისი ფლოტი განაძლიერა, მაგრამ საკმაო არ არის, რომ ჩვენი ფლოტი მეტად ძლიერია. ჩვენი ფლოტი უძლეველი უნდა იყოსო. გაზეთი Times იამავეაზრისაა. ამ გვარად თუმცა ჯერ არც-კი გაკეთებულა ის სამხედრო 70 გემი, რომელთა გასაკეთებლად ინგლისის მთავრობამ $21^1/_2$ მილიონი გირვანქა სტერლინგი გადასდო 1888 წელს, ინგლისელები მაინც კიდევ ჰფიქრობენ ფლოტისა და ჯარის გასაძლიერებლად საჭირო ფულის გადადებას.

**შვეიცარია.** შვეიცარიაში ხალხია კანონ-მდებელი. მართებლობა მოვალეა მთელის ხალხის აზრი შეიტყოს და ხმა მოჰკრიბოს იმ კანონ-პროექტის ძალით, რომელიც 50,000 კაცისაგან არის ხელ-მოწერილი და მართებლობისადმი დასაკანონებლად წარდგენილი, იმ შემთხვევაში-კი, როდესაც პარლამენტი უარჰყოფს. ამ უფლებით უნდათ ისარგებლონ სოციალისტებმა და ორი ახალი კანონი შემოიღონ. პირველი — მშრომელის უფლება თავის ნაშრომზედ. ეს პროექტი, უკვე ხელ-მოწერილი, მართებლობას წარედგინა კიდეც და მალე ხალხს გამოუცხადდება. ჰფიქრობენ, რომ ხალხი ამ პროექტს უარჰყოფსო, რადგანაც ბევრი სოციალისტიცა ჰყოლია მოწინაამდეგე და ბებელმა ეს პროექტი უგუნურებად დასახაო.

მეორე კანონ-პროექტი შვეიცარიის მუშებმა შეიმუშავეს, როდესაც ციურიხში კრება იყო. ამ პროექტით ყველა კაცს სახელმწიფოს ხარჯით უნდა უწამლონ ავადმყოფობის დროს და წყაროდ ამ ხარჯის გასაღებად თამბაქოს მონოპოლია უნდა იყოს. ამ საქმეს მხოლოდ 15 მილიონი ფრანკი დასჭირდებაო, ამბობენ, პროექტის მომხრენი, და ამდონს თამბაქოს მონოპოლია ხომ მოგვცემსო. მართებლობის ანგარიშით-კი 30 მილიონი დასჭირდება.

—

ვაშინგტონიდგან იუწყებიან, რომ შეერთებულ შტატების პრეზიდენტი კლეველენდი მძიმედ არის ავად ქარებით.

—

**სერბია.** ნაპრედნიაკების გაზეთის „ვიდელო“-ს რედაქტორს 300 ფრანკი ჯარიმა უნდა გარდახდეს, სასამართლოს გარდაწყვეტილებით, იმის გამო, რომ შეურაცხყოფა მიაყენა რეგენტად ნამყოფ რისტიჩის შვილსა. ამას წინად სერბიის საელჩოდგან პარიჟში ფული დაიკარგა პაკეტით. გაზეთმა „ვიდელო“-მ ეს ამბავი იმ ნაირად გარდასცა მკითხველს, ვითომ ამ საქმეში დამნაშავე ნიკოლოზ რისტიჩია, რეგენტად ნამყოფის რისტიჩის შვილი, რომელიც იმ დროს საელჩო მდივანი იყო.

—

**ავღანისტანი.** ბრიტანიის მისსია ქაბულიდგან ისევ ინდოეთს დაბრუნდა. 1 ნოემბერს ემირმა დურბარი გამართა, რომელსაც დაესწრო 300 ხანი და სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი. ემირმა უთხრა დიურანს, ავღანისტანსა და ინდოეთს შორის ყოველივე სადავო და სალაპარაკო მშვიდობიანად მოავწყვეთო. შემდეგ ემირმა მიულოცა ავღანელებს ისეთის მძლავრის მეგობრის შეძენა, როგორიც არის ინგლისი. შემდეგ ემირმა წაიკითხა პირობის ქაღალდი ემირისა და დიურანის მიერ ხელ მოწერილი. დიურანმა სთქვა, ამიერიდგან მთელს ქვეყანას ეცოდინება ავღანისტანისა და ინგლისის კავშირიო.

# გასართობი

პანტელეიმონ ფილიმონის ძეს თერძმა ანგარიში მიუტანა და ფული სთხოვა. ბ-ნი პანტელეიმონი ლოგინში იწვა. „ახ, ეგ შენა ხარო?“—ჰკითხა პანტელეიმონმა. — „დიაღ, ბატონო, ანგარიში მოგართვით და, თუ შეიძლება, ფული მიბოძეთო“,—მოახსენა თერძმა.

—„კარგი, აგერ იმ სტოლის უჯრა გამოსწიეთ“... ეგ არა... არც ეგა... ქვემო უჯრა, ქვემოთი... ჰო ეგა... რა არის მაგ უჯრაში?—ქაღალდები გახლავთ.—ეგ სულ ანგარიშებია... თქვენი ანგარიშიც მანდ ჩასდეთ, უთხრა ბ-მა პანტელეიმონმა და კედლისკენ გადაბრუნდა.

—

სარდალს დემურიეს ერთი კაცისაგან წერილი მოუვიდა, რომლისაც დიდი ფული ემართა და რომელიც სთხოვდა, ჩემი ფული დამიბრუნეო. დემურიემ მეტად თავაზიანი წერილი მისწერა და ბოლოს მოაწერა:

„სიკვდილამდე თქვენი მეგობარი და მოვალე“.

## გამოსადეგი ცნობა

ვაშლის შენახვა და გაგზავნა. ყუთის ძირში, რომელშიაც ვაშლი გინდათ შეინახოთ, ჩაჰყარეთ ფშხვნილი ნახშირი (ხავა) და მოჰფინეთ ერთის გოჯის სისქით. დააწყეთ რიგზედ ვაშლი, ისე რომ ერთი მეორეს არ ეკარებოდეს, და ზემოდგან კიდევ ნახშირი დააყარეთ, რომ კარგა ჰფარავდეს და შიგა და შიგ ცარიელი ადგილი არ დარჩეს. შემდეგ ასევე უნდა მოიქცეთ, ვიდრე ყუთი აავსებოდეს. დახურეთ კარგად თავი და ისეთ ადგილას შეინახეთ, სადაც ცოტაოდნად თბილოდეს (5—9 გრადუსამდე).

რადგანაც ნახშირი შეისვამს ვაშლის ორთქლსა და ამას გარდა სინათლესაც არ მიაკარებს და ამით დამწიფებას არ მოუსწრაფებს, ვაშლი დიდხანს შეინახება. საჭიროა მხოლოდ რომ არ დაიძროს და არც მოჭარბებული სითბო ჰქონდეს.

თუ კარგის ჯიშის ვაშლი გინდათ შორს გაჰგზავნოთ, უნდა თითო-თითოდ თხელ ქაღალდში შეახვიოთ და გოდორკალათში ანუ ძირ-დახვრეტილ ყუთში ბზე ჩაჰყაროთ და ვაშლიც რიგზედ ჩააწყოთ და ყოველ რიგს ბზე დააყაროთ. თუ ვაშლი მაგარია, ქაღალდში გახვევა საჭიროც არ არის. ბზე, რაც შეიძლება, რბილი უნდა იყოს.

—

როგორ შევეტყობა თევზს, კარგია თუ გაფუჭებული? ახალ თევზს ლაყუჩები წითელი უნდა ჰქონდეს, სული არ უნდა უდიოდეს, თვალის გუგალი ჩავარდნილი არა ჰქონდეს, ქერქლი უნდა ბრწყინავდეს და ადვილად არა შორდებოდეს; თევზს თითი რომ დააჭირო, არ უნდა აჩნდებოდეს.

ვაწრები თევზს ხშირად ლაყუჩებს უღებავენ, რომ ახალი ეგონოს მყიდველს, და ამისათვის სხვა-ფრივაც უნდა გაისინჯოს თევზი, რომ გაფუჭებული არ გამოდგეს.

ზემოდ მოხსენებულ ნიშნებს გარდა, იმითაც გამოიცნობა კიდევ, თევზი ახალია თუ არა, რომ ახალი თევზი წყალს ზემოდ მოექცევა და ძველს-კი წყალი დასძირავს.

# დეპეშა

10 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** დღეს დაიწყო რკინის გზათა წარმომადგენლების კრება. კრება განიხილავს სატარიფო საქმეებს და აგრედვე დებულებას რუსეთის საქონლის საზღვარ გარედ გატანის შესახებ.

**ბერლინი.** დეპუტატი რიხტერი აცხადებს »Freisinibe Zeitung“-ში, რომ აგრარიების მეცადინეობა უქმად ჩაივლის, რადგანაც გერმანიისა და რუსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც საეკონომიო, აგრედვე საპოლიტიკოც; მთავრობა დარწმუნებულია, რომ სავაჭრო ხელშეკრულობა ძლიერ საჭიროა და რეიხსტაგის უმრავლესობაც ხელშეკრულობას ვერ უარ ჰყოფს რადგანაც, არა სურს იკისროს პასუხის გება, თუ ვინიცობაა სადამოუნო ომი უფრო გამწვავდაო.

11 ნოემბერი

**პეტერბურგი.** პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურობა ნოემბრის ღამლევს სადილსა ჰმართავს საფრანგეთის ელჩის პატივსაცემლად.

Юридическая газета იუწყება, რომ უმაღლესად დამტკიცებულია პროექტი სოფლის მოხელეთათვის ჯამაგირის დანიშვნისა.

**ლონდონი.** უცხოელთა ანარქისტებს მთავრობა უფრო მეტად ადევნებს თვალ-ყურს. თუ აფეთქება მოხდა ან განიზრახა ვინმემ აფეთქება, მთავრობა სასტიკად მოეპყრობა და, თუ საჭირო იქმნება, განდევნის კიდეც ინგლისიდგან.

---

და დაიძახა: Vive la Russie! გაუმარჯოს რუსეთსაო). ხალხი ისეთს აღტაცებაში მოვიდა, რომ შემოეხვივნენ აფიცრებს და აღარ უშვებდნენ: დარჩით რამდენისამე ხანს, დარჩითო! მოისმოდა ხმა აქეთ-იქიდან. როგორც იყო, გზა გაიკვლიეს. ეს ქუჩა-ქუჩა სიარული შესანიშნავი დემონსტრაცია იყო.

შუადღისას ზღვაოსნები დაბრუნდნენ სადგომში. აქ ერთი ამბავი მოხდა. მოედანზედ, სადაც ხალხის ტევა აღარ იყო, ორჯერ რევოლვერის ხმა გაისმა. საშინელი ჟრიამული და ღრტვინვა შეიქმნა. შიშისაგან დაფრთხა ხალხი, ერთი-ერთმანეთს ეჯახებოდნენ და გარბოდნენ. რევოლვერის მსროლელი მაშინვე შეიპყრეს. როცა მიზეზი გამოჰკითხეს, პასუხად ეს სთქვა: ეს ორი დღეა არაფერი არ მიჭამია, ლუკმა პური მენატრება და თქვენ-კი აქ ასეთი ამბავი გაქვთო; გული მომივიდა და რევოლვერი გავისროლეო. მართლაც საწყალს ყვითელი და დატანჯული სახე ჰქონდა.

ნასადილევს რუსის აფიცრები არ გამოსულან გარედ, ამ დროს გადასცეს იმათ ერთი დიბეჭდილი წერილი, რომელშიაც ეწერა: „საყვარელო აფიცრებო და მეგობრებო! საფრანგეთი, ეროვნულის გრძნობით გამსჭვალული, გთხოვთ დღევანდელ დიდებულ დღეს გააგებინოთ აველანს, რომ მან მოსთხოვოს მთავრობას (საფრანგეთისას), სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცეს იმას, ვინც უმთავრესი მოთავეა ფრანგ-რუსეთის კავშირისა. ეს კაცი გახლავთ—ჰანრი როშფორი. ლონდონი“. ეს წერილი მაშინვე გადაეცა აველანს.

10 ოქტომბერს სულ შეიცვალა სანახაობა! დღესასწაული ძსიხარული გარდაიქცა გლოვად მწუხარებად. აღარ არის დღეს ის, რაც უნდა ყოფილიყო: სამხედრო კარუსელი (ცხენების ვარჯიშობა მინდორზედ), ნავოსნობა, სახალხო მუქთი წარმოდგენები, ფეერიული გაჩირაღდნება, ბაირაღები და სხ. ერთის სიტყვით, დღეს ქალაქს გლოვის ზეწარი გადაჰფარებია. რა არის ამის მიზეზი? სამის დღის წინად გარდაიცვალა მარშალი მაკ-მაჰონი საფრანგეთის ცნობილი მოღვაწე; მისი დასაფლავება რესპუბლიკამ იკისრა თავის ხარჯით და დღეს არის მისის დანიშნული გვამის განსვენება. რუსეთის აფიცრებს ებრძანათ თავის მთავრობისაგან, დაესწრით დასაფლავებაზედაო. დღესასწაულები შეწყვეტილ იქმნა ერთის დღით. მხოლოდ საღამოს აფიცრების სადგომის წინ ხალხმა თავი მოიყარა და ჩვეულებრივი მანიფესტაცია გაჰმართა. მაგრამ დაღლილდაქანცულობის გამო ჩქარა დაიშალნენ იქ მოგროვილნი.

11 და 12 ოქტომბერი უკანასკნელი დღეები იყო აფიცერთა პარიჟში ყოფნისა. მთელმა პარიჟმა შესწყვიტა მუშაობა და საქმიანობა: მაღაზიები დაიკეტა, სახელოსნოებში შესწყდა მუშაობა, ქარხნებში მუშათა რიცხვი განახევრდა. ყველას უნდა მონაწილეობა მიიღოს უკანასკნელ მანიფესტაციებში. ქუჩებში ეტლთა მიმოსვლა შესწყდა. ქალაქს მოაწყდა აუარებელი ხალხი დეპარტამენტებიდგან და უცხოეთიდგანაც-კი, მატარებლები 10—15 ერთად შემოდის მგზავრებით გაჭედილი თვითეულ ვაგზალში, უკან-კი ცარიელები მიდიან. წარმოიდგინეთ, რამდენი ხალხი უნდა ყოფილიყო, რომ პარიჟს პური შემოჰკლებოდა. ორშაბათს (11) მთელს პარიჟში რამდენისამე საათის განმავლობაში პური აღარ იშოვებოდა. კინაღამ საშინელი სიმშილი ჩამოვარდა; მაგრამ დროზედ მოეშველნენ. ნაშუადღევს პარიჟი ავსებით აივსო ხალხით, რადგანაც მაშინ გაიმართა მრავალი გასართობი, დროს გატარება, ცხენებით ვარჯიშობა (Le carrousel), სენის წყალზედ ნავოსნობა, მარსის მინდორზედ ბანკეტი (ჟურნალ-გაზეთობის მიერ) და სხვ. საუცხოვო სანახავი იყო, როცა 27 პატარა ხომალდი ყვავილებითა და ბაირაღებით მორთული, სენის მდინარეში ერთად დასრიალობდნენ. ორივე ნაპირი სავსე იყო ხალხით და ერთხმად იძახოდა: „გაუმარჯოს ფრანგ-რუსეთის ზღვის მხედრობასაო“! როცა აველანი ამოვიდა ნაპირას, ხალხმა ჩვეულებრივი მანიფესტაცია გაუმართა და გზა ყვავილებით მოუფინა.

12 ოქტომბერს აფიცრებს მრავალი ცნობილნი, საპატიო კაცნი და დელეგაციები მიაწყდნენ სადარბაზოდ და გამოსათხოვებლად. დელეგაციები იყო პარიჟის ყველა საზოგადოებათაგან. პროვინციის ქალაქებიდამ, ელზას-ლორენიდან და სხ. ყველამ თითო საჩუქარი მიართვა ზღვაოსნებს. საუზმე ელისეის სასახლეში გაუმართა რესპუბლიკის პრეზიდენტმა კარნომ და მეზღვაურნი ნაშუადღევის პირველ საათზედ გაემგზავრნენ ლიონს.

ასე დაბოლავდნენ პარიჟის დღესასწაულნი, რომელთა მგზავსი ისტორიამ არ იცის. მხოლოდ ის დღესასწაულები, თუ შეედრება ცოტაოდნად, რომელიც პარიჟელებმა გაჰმართეს 1859 წ., როცა ფრანგთა ჯარმა გაანთავისუფლა იტალია და შინ დაბრუნდა. მაგრამ ეხლანდელი დღესასწაულები მაინც გაცილებით მაღლა სდგას მაშინდელ დღესასწაულებზედ, თავის სიდიადით და ხალხის მეტის-მეტის აღტაცებით.

შეიძლება იკითხოთ: რა მიზეზია რუსეთის ზღვაოსანთა ასეთის ამბით მიღებისა? აქ ორი გარემოება შეიძლება დავასახელოთ: ევროპის დღევანდელი მდგომარეობა და ფრანგთა განსაკუთრებული ეროვნული თვისებანი, რის გამოც ჩვენ გაკვრითა ვსთქვით ორიოდე სიტყვა ამ წერილის თავშივე.

საზღვარ-გარეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად - აზნაურო საადგილ მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 15 და 16 დეკემბერს ამა 1893 წლისას, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავნი ქონებანი ქვემო ხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გადასახდელების შემოუტანლობისათვის, მე 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საერობო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელ-ვადიანთა სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანათად და აგრეთვე, ბანკის თანხმობით, ვალი მყიდველზედ იქმნება გადიტანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის კი ნაღდი ფული უნდა იქმნეს შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 15—16 დეკემბერს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21 §-ს საფუძვლისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 7 დეკემბერს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ის თანახმად, გრძელ ვადიანის ვალის მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზედ შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულების ვაჭრობა იქმნება 15 დეკემბერს, სოფლის მამულებისა 16 დეკემბერს.

### ძველი კატეგორიისა.

#### ა) ქალაქის მამულები.

ბეთანოვი სტეფანე ივანეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველგვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეს. თავნი ვალი 2206 მ. 84 კ., შემოსატანი გარდასახადი 299 მ. 16 კ. და სულ 2506 მ.

ნიკოლაძე ნიკოლოზ იაკობის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით და ეზოთი, ზომით 235 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-7 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნავთლუღში, ვოდოვოზნი ქუჩაზე. თავნი ვალი 406 მ. 81 კ., შემოსატანი გარდასახადი 62 მ., 68 კ., და სულ 469 მ. 49 კ.,

### ძველი კატეგორიისა

#### ბ) სოფლის მამულები

ხიმშიაშვილები: ნიკოლოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძე და ასულნი და ეკატირინა ბეჟანის ასული. სახნავი და საძოვარი ადგილეიი და ტყე, მიწა ზომით 653 დესეტინა, 1820 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, აგარაკ ათნის-ხევში. თავნი ვალი 3880 მ. 39 კ., შემოსატანი გარდასახადი 302 მ., 3 კ., და სულ 4182 მ. 42 კ.

ჭიჭინაძე სოფია როსტომის ასული. სახნავ სათესი, საძოვარი, სათიბი, ადგილები და ტყე, ზომით 391 დესეტინა, 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფ. დიდ-შავთაში. თავნი ვალი 2586 მ. 93 კ., შემოსატენი გარდასახადი 169 მ. 38 კ., და სულ 2756 მ. 31 კ.

კერესელიძე ანასტასია გრიგოლის ასული. სახნავ სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 104 დესეტინა 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში. თავნი ვალი 2624 მ. 97 კ., შემოსატანი გარდასახადი 292 მ. 66 კ. და სულ 2917 მ. 63 კ.

ბასკანოვი რომანოზ ივანეს ძე, არიშინი ნიკიფორე ათანასეს ძე, და სხვ. სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 379 დესეტინა 760 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისის გუბერნიასა და მაზრაში, ადგილს ნაომარში. თავნი ვალი 7048 მ. 47 კ., შემოსატანი გარდასახადი 76 მ. 77 კ. და სულ 7125 მ. 24 კ.

ქობულოვი: იოსებ, სოლომონ და ზაქარია ადამის ძენი. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 823 დესეტინა 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და თელავის მაზრაში, სოფ. კონდოლში. თავნი ვალი 8810 მ., შემოსატანი გარდასახადი 364 მ. 78 კ. და სულ 9175 მ. 41 კ.

თარხან-მოურავი დავით იორამის ძე. სახნავ სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 525 დესეტინა 876 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისა და გორის მაზრაში, სოფ.: ახალქალაქს, მუხაურსა და სათარხნოში. თავნი ვალი 6167 მ. 44 კ., შემოსატანი გარდასახადი 124 მ. 93 კ. და სულ 6292 მ. 37 კ.

ვარნაძე იოსებ რევაზის ძე. სახნავ სათესი ადგილი და ტყე. მიწა ზომით 663 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში. სოფ. ბარემკარში. თავნი ვალი 2643 მ. 19 კ., შემოსატანი გარდასახადი 273 მ. 20 კ და სულ 2916 მ 39 კ.

ბარნაბოვისა ანასტასია სოლომონის ასული. სახნავ-სათესი ადგილები, ზომით 19 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. დიცში. თავნი ვალი 440 მ. 53 კ., შემოსატანი გარდასახადი 47 მ. 92 კ. და სულ 488 მ. 45 კ.

გედევანისშვილი მერაბ იოსების ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები, მიწა ზომით 60 დესეტინა 110 ოთხ კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასი და მაზრაში, აგარაკს მუხათ-გვერდში. თავნი ვალი 528 მ. 66 კ., შემოსატანი გარდასახადი 56 მ. 15 კ. და სულ 584 მ. 81 კ.

ბაგრატიონ-მუხრანსკი ივანე კონსტანტინეს ძე. სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, ზომით 660 დესეტ., 1800 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრაში, აგარაკ ბოთკოში. თავნი ვალი 10712 მ. 06 კ, შემოსატანი გარდასახადი 484 მ. და სულ 11196 მ. 06 კ.

აღა-რაჰიმოვი ჰაჯი-იბრაგიმ-ზეინალ-ოღლი და სხვანი. სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები, ზომით 166 დესეტ., 940 ოთხ კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ კიროხლოში. თავნი ვალი 5356 მ. 06 კ., შემოსატანი გარდასახადი 245 მ. 50 კ. და სულ 5601 მ. 56 კ.

პოლტორაცკი ალექსანდრე ეგნატეს ძე. სახნავ სათესი, საძოვარი, საბოსტნე იდგილები, ბაღი და შენობები, მიწა, ზომით 148 დესეტინა, 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 6394 მ. 86 კ., შემოსატანი გარდასახადი 346 მ. 35 კ. და სულ 6741 მ. 21 კ.

ჯომარჯიძე თომა იაკობის ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, სამზარეულოთი და სხვა-და-სხვა თავლებითა, ეზოთი და წყაროს წყლით, მიწა ზომით 1 დესეტინამდე, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 1827 მ. 14 კ., შემოსატანი გარდასახადი 83 მ. 88 კ. და სულ 1911 მ. 02 კ.

წერეთელი ბაგრატ მიხეილის ძე. მინდვრები და ტყე, მიწა ზომით 1020 დესეტინა, 1920 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ზემოხოდაშენში. თავნი ვალი 8072 მ. 08 კ., შემოსატანი გარდასახადი 391 მ. 36 კ. და სულ 8463 მ. 44 კ.

გაბაშვილი იოსებ დავითის ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი და სასახლკარე ადგილები, ტყე და შენობები, მიწა, ზომით 148 დესეტინა, 1860 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში. სოფ. ოქროყანაში. თავნი ვალი 5045 მ. 04 კ., შემოსატანი გარდასახადი 410 მ. 70 კ. და სულ 5455 მ. 74 კ.

ავსარქისოვი ფარსადან იაკულის ძე, იარალოვი სერგო იაკულის ძე და პირო მელქისედექ ოსიფის ძე. სახნავ სსთესი, სათიბი, საძოვარა და სასახლკარე ადგილები, ზომით 623 დესეტ., 888 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. სკრაში. თავნი ვალი 11971 მ. 74 კ., შემოსატანი გარდასახადი 508 მ. 51 კ. და სულ 12480 მ. 25 კ.

მეჩითოვები: იაგორ, დარჩო და ნინო დარჩოს ძენი და ასული და სხვანი. სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები, ზომით 151 დესეტინა, 657 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეთში. თავნი ვალი 3223 მ. 16 კ., შემოსატანი გარდასახადი 163 მ. 84 კ. და სულ 3387 მ.

გაბაშვილი იოსებ დავითის ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი, სასახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 178 დესეტინა, 2011 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. საგაბაშვილო-თხინვალში. თავნი ვალი 2762 მ. 71 კ., შემოსატანი გარდასახადი 250 მ. 65 კ. და სულ 3013 მ. 36 კ.

ციციშვილი დავით ივანეს ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი, სასახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 87 დესეტინა, 960 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ქვემო-ნიჩბისში. თავნი ვალი 4888 მ. 35 კ., შემოსატანი გარდასახადი 187 მ. 76 კ. და სულ 5076 მ. 11 კ.

ქარუმიძე ივანე პაატას ძე. სახნავ-სათესი, სასახლკარე და სავენახე ადგილები, ზომით 12 დესეტინა, 1440 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. თორთიზაში. თავნი ვალი 271 მ. 53 კ., შემოსატანი გარდასახადი 39 მ. 85 კ. და სულ 311 მ. 18 კ.

ავალიშვილისა ოლღა ედუარდის ასული. სახნავ-სათესი ადგილები, ზომით 12 დესეტინა, 2320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. საშაბუროში. თავნი ვალი 742 მ. 26 კ., შემოსატანი გარდასახადი 89 მ. 39 კ. და სულ 831 მ. 65 კ.

გედევანიშვილი, კონსტანტინე დავითის ძე. სახნავ სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 89 დესეტინა. 2046 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისა, დუშეთისა და გორის მაზრებში, აგარაკს მუხათ-გვერდსა, საგუდესა და სასხორში. თავნი ვალი 74? მ. 30 კ., შემოსატანი გარდასახადი 62 მ. 88 კ. და სულ 805 მ. 18 კ.

შალიკაშვილი ალექსანდრე რაჟდენის ძე. სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები, ტყე და შენობები, მიწა ზომით 394 დესეტინა, 620 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. სკრაში. თავნი ვალი 4695 მ. 19 კ., შემოსატანი გარდასახადი 200 მ. 48 კ. და სულ 4895 მ. 67 კ.

#### ქალაქის მამულები

მელითაური მიხეილ გიორგის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და შენობებით, მიწა ზომით $81^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი, 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ოლღას ქუჩაზე. თავნი ვალი 2985 მ. 59 კ., შემოსატანი გარდასახადი 119 მ. 78 კ. და სულ 3105 მ. 37 კ.

ჯორჯაძე დავით ვახტანგის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ყოველგვარ მოწყობილობით, ზომით 1443 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თელავს. თავნი ვალი 5667 მ. 10 კ., შემოსატანი გარდასახადი 386 მ. 82 კ. და სულ 6053 მ. 92 კ.

ერისთავისა ნინო ალექსანდრეს ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ორ-სართულიანი ფლიგელი სარდაფით და შენობებით, მიწა ზომით 144 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-9 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ნიკოლოზის ქუჩაზე. თავნი ვალი 4359 მ. 35 კ., შემოსატანი გარდასახადი 277 მ. 30 კ. და სულ 4636 მ. 65 კ.

მაშადი-აბუზარ-მოლლა-ფეიზულა ოღლი. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და სამ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟენი, მე 6 ნაწილში 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისსა სეიდიბათში, ვარანცოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 6539 მ. შემოსატანი გარდასახადი 412 მ. 48 კ. და სულ 6951 მ. 48 კ.

კადურინი: ვასილი თევდორეს ძე. ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი თავის მოწყობილობით, მიწა ზომით 200 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-9 ნაწილში მე 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ვორონცოვის ნაბერეჟნაზე. თავნი ვალი 3051 მ. 54 კ. შემოსატანი გარდასახადი 219 მ. 70 კ. და სულ 3271 მ. 24 კ.

სოლომონოვი: ვაღარშაკ არტემას ძე. 6 ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და 9 ერთ-სართულიანი ქვითკირის ფლიგელი, ყოველგვარ მოწყობილობით, მიწა ზომით: სიგრძით 66 და სიგანით $16^1/_2$ საჟ. ქ. ალექსანდროპოლში. თავნი ვალი 13211 მ. 26 კ. შემოსატანი გარდასახადი 825 მ. 26 კ. და სულ 14036 მ. 52 კ.

შაბუროვი: გრიგოლ და სოლომონ ივანეს ძენი. 1-ლი, ორსართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, სამ სართულიანი ფლიგელი, ფურნე, თავლა და ბაღი, მიწა ზომით 714 ოთხ კუთხი საჟენი; 2-რე, ვენახი მარნით, მიწა ზომით: სიგძით 63 საჟენი, სიგანით, სამხრეთით 10 საჟ., ჩრდილოეთით 9 საჟ. ქალაქ სიღნაღში. თავნი ვალი 3026 მ. 40 კ. შემოსატანი გარდასახადი 217 მ. 10 კ. და სულ 3243 მ. 50 კ.

ბალეელოვი: იოსებ დავითის ძე. სამი თითო-სართულიანი სახლი, ფლიგელითა და ყოველივე მოწყობილობით, მიწა ზომით 91 ოთხ-კუთხი საჟენი ქ. გორში. თავნი ვალი 2269 მ. 81 კ. შემოსატანი გარდასახადი 163 მ. 56 კ. და სულ 2433 მ. 37 კ.

დიასამიძე: ნიკოლოზ დავითის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ანუ დუქანი, მიწა ზომით $66^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 3513 მ. 27 კ. შემოსატანი გარდასახადი 416 მ. 49 კ. და სულ 3929 მ. 76 კ.

სინოიანცი: კარაპეტ ნიკიტას ძე. ორი თითო-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველივე მოწყობილობით და სარაით, მიწა ზომით: სიგძით 27 საჟ. და 2 ალაბი, სიგანით 10 საჟ. ქ. ალექსანდროპოლში. თავნი ვალი 1619 მ. 04 კ. შემოსატანი გარდასახადი 87 მ. 6 კ. და სულ 1706 მ. 10 კ.

ანდრონიკოვი; თებრონია გიორგის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, მიწა ზომით: სიგძიუ 25-ი, სიგანით 15 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. სიღნაღში. თავნი ვალი 1541 მ. 96 კ. შემოსატანი გარდასახადი 117 მ. 17 კ. და სულ 1659 მ. 13 კ.

ციციანოვი: თომა კონსტანტინეს ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და მოწყობილობით, მიწა ზომით 112 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 2775 მ. 47 კ. შემოსატანი გარდასახადი 169 მ. 18 კ. და სულ 3944 მ. 65 კ.

თავდგირიძე: ბესარიონ გაბრიელის ძე. ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ფურნითა და ბაღით, მიწა ზომით: სიგძით 51, სიგანით 48 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 3139 მ. 39 კ. შემოსატანი გარდასახადი 187 მ. 32 კ. და სულ 3326 მ. 71 კ.

ხითაროვი: ბეგლიარ გიორგის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, საყინულეთი, თავლითა და ბაღითა, მიწა ზომით 12366 ოთხ-კუთხი საჟ. და ორი არშ., შაგარის უბანში, ქ. ერევანს, სარდაპ-კიუჩას ქუჩაზე. თავნი ვალი 3832 მ. 66 კ. შემოსატანი გარდასახადი 223 მ. 24 კ. და სულ 4055 მ. 90 კ.

ნიკოლაძე: ეკატერინე იაკობის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა, მიწა ზომით 370 ოთხ კუთხი საჟ. ქ. ქუთაისში. ღოსპიტალის ქუჩაზე. თავნი ვალი 3408 მ. 83 კ. შემოსატანი გარდასახადი 266 მ. 93 კ. და სულ 3675 მ. 76 კ.

წერეთელი: მიხეილ ემილიანის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფითა და ერთ სართულიანი ფლიგელით, მიწა ზომით 100 ოთხ-კუთხი საჟ. მე 7 ნაწილში მე 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, ლუთერანის ქუჩაზე. თავნი ვალი 486 მ. 98 კ. შემოსატანი გარდასახადი 57 მ. 68 კ. და სულ 544 მ. 66 კ.